შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№13 (9.972)

24 აპრილი -1 მაისი 2021წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი საჯარო სკოლა-სამთაწყაროს



პროექტის „ერთი დღე სოფელში“ ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, 20 აპრილს სოფელ სამთაწყაროში იმყოფებოდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი სამთაწყაროში მერის წარმომადგენელთან ჯემალ დიმიტრაძესთან ერთად მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი სამთაწყაროს საბავშვო ბაღსა და სკოლასაც ეწვია. ბაღის პედაგოგებთან საუბარში აღინიშნა, რომ სამთაწყაროს საბავშვო დაწესებულებაში ისევე, როგორც მთელ მუნიციპალიტეტში, მომავალი თაობის აღზრდისთვის ღირსეული პირობებია შექმნილი.

„დღეს სამთაწყაროს მოსახლეობას შევხვდი და მათ პრობლემებს ადგილზე გავეცანი. მოგვარების გზებიც ერთად დავსახეთ. ამიტომაც დღევანდელი შეხვედრებით კმაყოფილი ვარ. ასევე დავათვალიერე აქ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. მოგახსენებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს სოფლის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და სამთაწყარო-ფიროსმანის საავტომობილო გზის მშენებლობა. ორივე პროექტი თავისი მასშტაბებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია . მიხარია, რომ ჩვენი ხელისუფლების პერიოდში ამდენი ღირსეული საქმე კეთდება“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამთაწყაროს საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები 2021-2022 სასწავლო წელს სკოლის განახლებულ შენობაში დაიწყებენ.

პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ზედამხედველობით ახორციელებს და მასზე 4 000 000 ლარზე მეტი დაიხარჯება. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა შიდა სველი წერტილები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი, გათბობის სისტემა , დამონტაჟდება ლიფტი და სხვა.

„ძველი შენობიდან რჩება მხოლოდ კედლები, დანარჩენი ყველაფერი იცვლება. სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩვენ გვექნება ევრიპული სტანდარტების , ფაქტობრივად, სრულიად ახალი შენობა, სადაც სასწავლო პროცესის ღირსეულად წარმართვისთვის ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სამთაწყაროს საჯარო სკოლის განახლებულ შენობაში პირველი ზარი მიმდინარე წლის სექტემბერში, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე დაირეკება.

C M Y

საქველმოქმედო სამედიცინო აქცია დედოფლისწყაროში.

საზღვრისპირა სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას უფასო სამედიცინო სერვისები პროფესორმა სოლომონ ზეიკიძემ და ექიმთა საქველმოქმედო ჯგუფმა მიაწოდეს.

ექიმთა საქველმოქმედო ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი, კარდიოლოგი სოლომონ ზეიკიძე ხელმძღვანელობს, ფონდ „მზის შვილების“ ეგიდით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მორიგი საქველმომქმედო აქცია გამართა - მოსახლეობას უფასო სამედიცინო სერვისი მიაწოდა და მედიკამენტები გადასცა. აქციის ფარგლებში, სამედიცინო სერვისი, საერთო ჯამში, 70-მდე ადამიანს მიეწოდა.

„ეს ჩვენი ექიმთა საქველმოქმედო ჯგუფის უკვე რიგით მეოთხე აქციაა - ილტოს ხეობის, ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევისა და ახალქალაქის სოფელ კოთელიას შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას გავუწიეთ უფასო სამედიცინო მომსახურება. საერთოდ, მსოფლიოსა და შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი კოვიდპანდემიის გამო, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც დიდ ქალაქებსა და რეგიონული ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლებში ცხოვრობენ, იმ დილემის წინაშე დადგნენ, რომ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურეობას ვეღარ იღებენ. ჩვენი საქველმოქმედო აქციებიც სწორედ ამას ემსახურება. სოფელ სამთაწყაროსთვის ეს აქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკულად, სასაზღვრო ზონაა. ადგილობრივებს მედიკამენტებიც გადავეცით, რაშიც ფარმაცევტული კომპანია ჩM ფარმა დაგვეხმარა,“ - ამბობს პროფესორი, კარდიოლოგი სოლომონ ზეიკიძე და დასძენს, რომ მსგავს საქველმოქმედო აქციებს, მეგობრებთან ერთად, სამომავლოდაც გეგმავს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო აქციაში, რომელიც ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის, ასევე, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ეროვნული ბანკის, „ზედაზენისა“ და „ჯი-ემ ფარმას“ თანადგომით ჩატარდა, რამდენიმე დარგის ექიმი მონაწილეობდა. პროფესორი, კარდიოლოგი სოლომონ ზეიკიძე; ექიმ-ფიზიოთერაპევტი ოდისეი სადოევი, ენდოკრინოლოგი ნათია დალაქიშვილი და კარდიოლოგი ქეთი გოროზია.

აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფელი სამთაწყარო აჭარელი ეკომიგრანტებით დასახლებული სოფელია, რომელიც რაიონული ცენტრიდან მკვეთრად მოწყვეტილია.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

სოფ. ზემო მაჩხაანი

სოფელ ზემო მაჩხაანში მეორე და მეცხრე ქუჩების შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში მოასფალტდა გზის 800 მეტრიანი მონაკვეთი და მოეწყო სანიაღვრე სისტემა.

პროექტის ღირებულება 600 000 ლარს შეადგენს.

***

სამთაწყარო-ფიროსმანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

მიმდინარე პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა.

სამთაწყარო-ფიროსმანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა

სამთაწყარო-ფიროსმანის საავტომობილო გზა პროექტ „ქუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს“ ნაწილია და მისი დასრულების შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა საზღვრისპირა სოფელი ერთმანეთს თანამედროვე სტანდარტების სავტომობილო გზით დაუკავშირდება.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება და მისი ღირებულება 5 000 000 ლარზე მეტს შეადგენს.

2021 წლის რთველი კადასტრის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარდება

კახეთის რეგიონში ვენახების რეგისტრაცია და საკადასტრო ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს.

თეთრყურძნიანი და წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებით გაშენებული ყველა ვენახის რეგისტრაცია სავალდებულოა. 2021 წლის რთველის ჩატარება კადასტრის მონაცემებზე დაყრდნობით იგეგმება. განახლება სავალდებულოა ვენახთან დაკავშირებული ცვლილებების შემთხვევებში - ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, გაშენება ან ამოძირკვა.

ამ ეტაპზე, ვენახების რეგისტრაცია და საკადასტრო ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ყვარელი, გურჯაანი, სიღნაღი (წნორის მხარის სოფლები), თელავი და ახმეტა. რეგიონის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრაციის დაწყებაზე მევენახეები ინფორმაციას დამატებით მიიღებენ. რეგისტრაცია შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში განთავსებულ მოქმედ სარეგისტრაციო უბნებზე. ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს. პანდემიის გამო, 2020 წელს, პროგრამის საველე სამუშაოები შეჩერებული იყო. მუშაობა მიდიოდა მხოლოდ მონაცემთა სრულყოფისა და განახლების მიმართულებით. 2021 წელს, იგეგმება 26 ათასამდე ჰექტარი ფართობის აეროგადაღებები კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

ვენახების კადასტრი იქმნება თითოეული ვენახის ნაკვეთის ინდენტიფიკაციის და რეგისტრაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვებით, რომელიც შეიცავს ვენახში არსებულ ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს, ვენახის მდგომარეობას და ა.შ. ინფორმაციის შეკრება ხდება საველე პირობებში, მევენახეების გამოკითხვით და აეროფოტოებზე გამოხატული ვენახის ნაკვეთების იდენტიფიკაციით. ვენახების კადასტრი გააჩნია ევროკავშირის წევრ ყველა იმ ქვეყანას, სადაც განვითარებულია მევენახეობა-მეღვინეობის ინდუსტრია. საქართველოს ვენახების კადასტრის შექმნა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპული გამოცდილებისკენ. ვენახების კადასტრის პროგრამის დასრულება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მიმდინარე წელს იგეგმება.

ტერაბანკის განახლებული ფილიალი დედოფლისწყაროში

19 აპრილიდან „ტერაბანკი“ კლიენტებს მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში მოემსახურება- ქ. დედოფლისწყაროში, ჰერეთის N49 -ში ბანკის განახლებული ფილიალი საზემო ვითარებაში გაიხსნა.

სტუმრებს შორის იყვნენ ბანკის გენერალური დირექტორი თეა ლორთქიფანიძე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საფილიალო ქსელის მართვის განყოფლილების ეროსი დავით წულუკიძე, ასევე ბანკის სხვა ხელმძღვანელი პირები და კლიენტები.

„ტერაბანკის“ სიმბოლური ლენტი ფილიალის დირექტორმა ელიზბარ ალუღიშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაჭრეს.

ჰუმანიტარული აქცია მოეწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და ,,წითელი ჯვრის“ მორიგი ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერებს სასურსათო ამანათები და ჰიგიენის საშუალებები გადაეცათ. ჰუმანიტარული აქციით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

"ერთად, ჩვენ შეგვიძლია, აღვადგინოთ დედამიწა!"

1969 წელს სანტა ბარბარაში, კალიფორნიაში, მოხდა ნავთობის დიდი მასის დაღვრა. ამ კატასტროფის შედეგად გამოწვეულმა პრობლემებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ და თანაც ნათლად დაანახა გარემოზე ზრუნვის აუცილებლობა. ხოლო, 1970 წელს მოსახლეობა გამოვიდა ქუჩებში ტრანსპარანტებით, რომელზეც ეწერა: „უფრთხილდი ჰაერს, რომელსაც სუნთქავ!"; „თუ არ ეძებ გამოსავალს, მაშინ თანამომაწილე ხარ!" სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ამ დღის აღნიშვნას. შესაბამისად, პირველად დედამიწის დღე სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებში აღინიშნა. ადამიანები აწყობდნენ სახალხო შეკრებებს და ღიად საუბრობდნენ გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი „დედამიწის დღის" აღნიშვნასთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებს და აცხადებს, რომ მთავარი პრიორიტეტი ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაა. მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატყეო სექტორის რეფორმა და ტყის მდგრადი მართვა, ასევე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა.

„დღეს, 22 აპრილს დედამიწის დღეა. „ერთად, ჩვენ შეგვიძლია, აღვადგინოთ დედამიწა! - ასეთია მთავარი გზავნილი, რომლითაც მსოფლიო, 2021 წელს, დედამიწის დღეს აღნიშნავს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვის, როგორც გლობალური გამოწვევის პროცესში, თანმიმდევრულად მუშაობს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. აქტიურად მიმდინარეობს ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის და დაცული ტერიტორიების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად განვითარების მიმართულებით მუშაობა, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვას და ეკოტურიზმის განვითარებას.

უკანასკნელ პერიოდში დაცული ტერიტორიების ფართობი, რეკორდულად, 280 000 ჰა-ით გაიზარდა და ჩვენი ქვეყნის თითქმის 12% ტერიტორიას მოიცავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატყეო სექტორის რეფორმა და ტყის მდგრადი მართვა, რომელიც ტყის ახალი კოდექსის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ვმართოთ მდგრადად ტყე, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის, დაახლოებით, 40%-ია. რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ, გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების პრევენციის უმნიშვნელოვანესი საფუძველი - კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" დამტკიცდა, რაც ქვეყანაში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი გარემოსდაცვითი მმართველობის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

ჩვენ დავაწესეთ ახალი სტანდარტები, რათა მაქსიმალურად შევამცეროთ სამრეწველო სექტორიდან ჰაერის დაბინძურება და ეს დადებითად აისახოს ცალკეულ ქალაქებში ჰაერის ხარისხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია ნარჩენების პრევენცია, ხელახლა გამოყენება და გადამუშავება. ამ მიზნის მისაღწევად, ვიწყებთ პლასტმასის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს პლასტმასის არამდგრად გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და შეამცირებს გარემოზე მიყენებულ ზიანს.

აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის პროცესი, რომელიც გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობასა და სასკოლო სივრცეში ინტეგრირებას ითვალისწინებს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, გაძლიერდება დაწყებითი საფეხურის 20 000 პედაგოგის შესაძლებლობები, ხოლო 250 000 მოსწავლე უკეთესად შეისწავლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მდგრადი განვითარება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის რესურსების დაცვა, ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება, ნარჩენების მართვა, მიწის მართვა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა და ხარისხი", - აღნიშნულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილის „დედამიწის დღის" აღნიშვნასთან დაკავშირებულ მიმართვაში.

დედამიწის დღესთან დაკავშირებით, კახეთის რეგიონის მასშტაბით, რვავე მუნიციპალიტეტში დასუფთავება - გამწვანების აქცია იმართება.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი შიოშვილმა ახმეტის მუნიციპალიტეტში, მერის მოადგილე, ვაჟა ნასყიდაშვილთან ერთად, დასუფთავება - გამწვანების აქციაში პირადად მიიღო მონაწილეობა.

„კახეთის რეგიონმა ზედიზედ მესამედ სუფთა რეგიონის სტატუსი დაიმსახურა. ჩვენთვის ერთი - ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია გარემოზე ზრუნვა და ყოველდღიურ რეჟიმში, რეგიონში დასუფთავების სამუშაოების ჩატარება"- აღნიშნა ირაკლი შიოშვილმა.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე დასუფთავება - გამწვანების აქციაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ.აღნიშნული თარიღი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც მასშტაბური დასუფთავებისა და გამწვანების აქციებით აღინიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა, მერიის სტრუქტურული ერთეულების, ა(ა)იპ-ებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. გასუფთავდა და გამწვანდა როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს შიდა ტერიტორია, ასევე ტურისტული ადგილები: ელიას მთა, ქოჩების ტბა, ხორნაბუჯის ციხე და ა.შ.

XXI საუკუნეში კლიმატის ცვლილებები მნიშვნელოვნად დაჩქარდა - სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პოლუსებზე ყინულის დნობის პროცესი, დნება მყინვარებიც, დედამიწის საშუალო ტემპერატურა იმატებს, სწრაფი ტემპით იჩეხება ტროპიკული ტყეები, იმატებს საშუალო ტემპერატურა მსოფლიოში, იმატებს მსოფლიო ოკეანეში წყლის დონე, რომელიც უამრავ ქვეყანასა თუ ქალაქს დიდ საფრთხეს უქმნის. მაგალითად, თუ ყინულის დნობის პროცესი ამავე პროცესით გაგრძელდა, შესაძლოა სულ მალე მალდივის კუნძულები მთლიანად წყლის ქვეშ აღმოჩნდეს და უამრავი ადამიანი ლტოლვილად იქცეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, აუცილებელია კლიმატური ცვლილებების ტემპის შენელება, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობა მომავალში გაცილებით დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება, რომელთა დაძლევაც საკმაოდ რთული იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მიმართულია COVID-19-სკენ, არ უნდა დაგვავიწყდეს გარემოს დაცვის და კლიმატის საკითხების მნიშვნელობა გრძელვადიან პერსპექტივაში და, მათ შორის, ეკონომიკური კრიზისის დაძლევისას. მხოლოდ გარემოსადმი პასუხისმგებლობის გამოჩენა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ პოზიტიურად შევცვალოთ ჩვენი პლანეტის მომავალი!

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ვარიაციები პოლიტიკურ თემაზე

საქართველოში პოლიტიკური პროცესები კვლავ დაძაბულია. ევროპელი მედიატორები ცდილობენ, ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანონ. ოპოზიციური პარტიების ნაწილმა პარლამენტში შესვლას ხელი მოაწერა, თუმცა, ამან კრიზისი ბოლომდე ვერ მოაგვარა. მათ საქციელს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა პოლიტიკურ წრეებსა თუ არასამთავრობო სექტორში.

„ვაი ჩვენს პატრონს... ევროპა-ამერიკის ელჩებმა ხელისუფლებას გადმოსცეს ბრძანების ძალის მქონე უზენაესის „რეკომენდაცია“ შემოდგომაზე ჩასატარებელ ადგილობრივ არჩევნებში 43%-ზე ნაკლებს აიღებთ, 2022 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნეთ, ცესკოს თავმჯდომარე 2/3-ის უმრავლესობით აირჩიეთ და რასაც უზენაესი ბრძანებს, მომავალშიც ისე მოიქეცით, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასო... ანუ არც ეკონომიკურად დაგეხმარებით, არც ნატოში და ევროკავშირში მიგიღებთ და რუსების მიერ საზღვრის ყოველ გადმოწევაზე აღარც შეშფოთება-აღშფოთებას გამოვხატავთო.

აქეთ სხვა უზენაესი გვითვლის რუსეთიდან - თავი დაანებეთ ნატოსთან და ევროპასთან ფლირტაობას, თორემ უფრო მეტ ნაწილებად დაიშლებით, ვერ ხედავთ, რომ აჭარის გათურქებას და მთელი რიონის ხეობის ხელში ჩაგდებას ცდილობს ნატოს წევრი „დემოკრატიული თურქეთი“ („მხოლოდ 99 წლით, ვითომ ჰესის ასაშენებლად), იქით სომხეთს აქვს თვალი დადგმული ჯავახეთზე, ირანელები ამბობენ, თბილისი სპარსული ქალაქია, საუკუნეების მანძილზე ჩვენი ამირა მართავდაო. ხოლო თუ ჩვენ ამ ყველაფერზე თვალს დავხუჭავთ, ისღა დაგვრჩება, ცხინვალიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით გადმოვიწიოთ და შუაზე გავწყვიტოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო და რაც თქვენი ქვეყნიდან იქნება დარჩენილი, ის ჩვენ ავითვისოთო.

მოკლედ, მაგარ შარში ვართ. გვეგონა ერთ ვეშაპს მოვცილდით, რომელსაც დიდი მადა ჰქონდა და სულ გადასანსვლას გვემუქრებოდა, რომ იქით მეორე ვეშაპი გამოჩნდა ევროპა-ამერიკის სახით, რომლებიც გვეუბნებიან, ჩვენთან თუ გინდათ, ჩვენი „რეკომენდაციები“ უნდა შეასრულოთო. არა, ეს მხოლოდ რეკომენდაციებია, ბრძანებები არ გეგონოთ, ოღონდაც თუ არ შეასრულებთ, ისევ ვეშაპის ხახაში ჩარჩებითო. არა ჩვენ გადაყლაპვას არ გიპირებთ, მაგრამ თქვენი ცხოვრების წესზე უარი უნდა თქვათ, კანონები ჩვენი „რეკომენდაციებით“ უნდა მიიღოთ და თუ ჩვენ საჭიროდ ჩავთვლით, ხელისუფლებაც უნდა დათმოთო. მერე რა, რომ თვითონ ჩვენმა წარგზავნილმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს არჩევნების ლეგიტიმურობა, მთავარია, რომ დღეს ჩვენ ასე გვჭირდება და არ გავიგონოთ თქვენი ხმა-კრინტიო. ანუ თუ ჩვენ საჭიროდ ჩავთვლით, ნებისმიერი დამნაშავე ციხიდან უნდა გამოუშვათ (თანაც ერთ კვირაშიო), თუ ჩვენ საჭიროდ ჩავთვლით, ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩაატაროთ, თანაც ისეთი პირობებით, როგორსაც ჩვენ შემოგთვაზებთო, მოკლედ, ხელისუფლებას ჩვენ ვუნიშნავთ საქართველოს, ქართველი ხალხის ნება აქ არაფერ შუაშიაო. თუ მოვინდომებთ, კონსტიტუციაშიც ჩაგაწერინებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი გეი ან ლესბოსელი უნდა იყოსო. თუ თანახმა არა ხართ, მიბრძანდით უკან ვეშაპის ხახაშიო.

აი, ეს არის რეალურად ის ლამაზი სიტყვებით შეფუთული რეალობა, რასაც ვუყურებთ დღეს საქართველოში „სტრატეგიული პარტნიორების“ მხრიდან წარმოებულ ე. წ. ფასილიტაციისა თუ მედიაციის პროცესში.

ამ ყველაფრიდან ჩვენ ის დავინახეთ, როგორ იქცნენ ე. წ. ნეიტრალური სტრატეგიული პარტნიორები მხარედ და როგორ მოითხოვენ ხელისუფლების გადაცემას იმ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც მათივე მოთხოვნით გაუხანგრძლივდათ პოლიტიკური სიცოცხლე

და სულ არ დაგიდევენ ქართველი ხალხის პოზიციას, რომ 2012 წლიდან მოყოლებული მათ უარი უთხრეს ამ რეჟიმის პოლიტიკურ რეინკარნაციას. მერე რა, რომ დასავლეთში არჩევნებში (ანუ ხელისუფლების დანიშვნაში) ჩარევა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, ისინი ჩვენს სახელმწიფოს მესამეხარისხოვანი ქვეყნის კრიტერიუმებით განსჯიან და ამიტომაც მათი მხრიდან აქ არჩევნების შედეგებით მანიპულაცია ჩვეულებრივი ამბავია. მხოლოდ მესამეხარისხოვან ქვეყნებად მიჩნეულ ხელისუფლებებს შეუძლიათ ელაპარაკონ დასავლეთის სახელით ისე, როგორც ამას აკეთებენ საქართველოსთან მიმართებაში ჩვენი ფასილიტატორები თუ მედიატორები, მხოლოდ ასეთ ქვეყნების ხელისუფლებებს შეუძლიათ მოთხოვონ მსჯავრდებულების ან ბრალდებულების ერთ კვირაში გათავისუფლება ან ყველას მიერ ლეგიტიმურად აღიარებული არჩევნების მიუხედავად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, თუ ისინი მორიგ ადგილობრივ არჩევნებში 43%-ს ვერ მოიპოვებენ. ეს არის ქვეყნის დამოუკიდებლობა? კონსტიტუციაში რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევები პირდაპირ და ძალიან გასაგებად არის გაწერილი, ეგ არაფერს ნიშნავს? რატომ აყენებენ ჩვენი „დასავლელი მეგობრები“ საკუთარ თავს საქართველოს კონსტიტუციაზე მაღლა? იმისთვის იბრძოდა ქართველი ხალხი, რომ ერთი ბატონი მეორით (უფრო ცივილიზებულით და ლამაზი სიტყვებით შეფუთულით) ჩაენაცვლებინა?

ყველაზე უცნაური ის არის, რომ არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციის ძირითად ნაწილს არ მოსწონს ეს „რეკომენდაციები“ (ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ), მაგრამ ალბათ მაინც ყველა დათანხმდება მათ შესრულებას, რადგან სხვანაირად „ანტიდასავლელის“ და „რუსეთუმეს“ იარლიყს აიკრავენ. თუმცა, სახის შენარჩუნებისთვის ორივე მხრიდან გაბრძოლება მაინც საჭირო იქნება და მაქსიმუმ იმას მიაღწევენ, რომ შეთავაზებულ ულტიმატუმში ფორმალური ხასიათის ცვლილებების შეტანით ორივე მხარეს ექნება იმის თქმის შესაძლებლობა, აი, ხომ ხედავთ, დასავლეთი ჩვენ გვიჭერს მხარსო.

და მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ჯოს! ჯოს! ჯოს! ვაშა ამ ახალ საქართველოს ! ვაშა შენებას!“ - წერს სამოქალაქო უფლებების დამცველი ნანა კაკაბაძე.

და მაინც, რასთან გვაქვს საქმე?...

ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფო და ერთმანეთის მთავარი მოწინააღმდეგეები არიან. ისინი მუდმივად ეჯიბრებიან ერთმანეთს და ცდილობენ, მსოფლიოს დაანახონ საკუთარი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი, სამხედრო სფეროში. 2019 წელს, აშშ-ის წლიური სამხედრო ხარჯი $732 მილიარდი იყო, რაც მისი მშპ-ის 3.4%-ია. ამავე წელს რუსეთს მნიშვნელოვნად ნაკლები, $65.1 მილიარდის ოდენობის სამხედრო დანახარჯი ჰქონდა, რაც მშპ-ის 3.9%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, 2020 წლის მონაცემებით, ამერიკას 1 400 000 აქტიური სამხედრო პერსონალი ჰყავს და 860 000 რეზერვისტი. რუსეთის აქტიური სამხედრო პერსონალის რაოდენობა 1 013 628-ს შეადგენს, თუმცა, მისი რეზერვისტების რაოდენობა ბევრად მეტია და 2 000 000-ს აღწევს. Global Fire Power-ის 2021 წლის სამხედრო სიძლიერის რეიტინგში პირველ ადგილს ამერიკა, მეორეს კი რუსეთი იკავებს. რაც შეეხება ბირთვულ არსენალს, აშშ-ს 5 800, ხოლო რუსეთს მსოფლიოში ყველაზე მეტი — 6 375 ბირთვული ქობინა აქვს.

2021 წლის ცხოვრების დონის ინდექსში ამერიკის შეერთებულ შტატებს 166.98 ქულა აქვს მინიჭებული, რუსეთს კი — 101.67 ქულა. ტექნოლოგიური განვითარებით Global Finance-ის რეიტინგში აშშ მე-5 ადგილზეა, ხოლო რუსეთი 46-ე ადგილს იკავებს. ასევე, UNESCO-ს 2020 წლის კვლევის მიხედვით, კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებას ამერიკა მშპ-ის 2.7%-ს მოახმარს, ხოლო რუსეთი — 1.1%-ს.

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს გავლენა აქვს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზეც. თუმცა, აშშ-საქართველოს ურთიერთობების ისტორია აჩვენებს, რომ მიუხედავად ადმინისტრაციის ცვლილებისა, ქვეყნებს შორის ფუნდამენტურ სფეროებში ურთიერთობები კვლავ გაგრძელდება. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკელი პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციას დაისახავს მიზნად, ამას საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი გავლენა სავარაუდოდ არ ექნება.

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველომ დასავლეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები კიდევ უფრო გააღრმავა. 2009 წელს ამერიკის ჯერ კიდევ რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციის პიროგებში ხელი მოეწერა სტრატეგიული პარტნიოროგის ქარტიას, რომელიც 2016 წელს, უკვე დემოკრატიული პარტიის პიროგებში, კიდევ უფრო გაღრმავდა. აშშ კვლავაც დაუჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოს რეგიონების არაალიარების პოლიტიკას. საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს ის, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი ნორმალიზაციის პოლიტიკის შემდეგ და რამდენად შეძლებს საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან ურთიერთობების ისე გაღრმავებას, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით პოლიტიკური პროგლემების სამხედრო გზით გადაწყვეტა გამორიცხოს.

სტრატეგიული პარტნიოროობა და პერსპექტივები

„ამერიკის ადმინისტრაციაზე, უდავოდ, ბევრია დამოკიდებული როგორც შიდაამერიკული, ისე საერთაშორისო გადმოსახედიდან. ამერიკის საგარეო კურსის „რევოლუციონიზირების“ მოლოდინი გადაჭარბებულია, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ახლად ფორმირებული გლობალური წესრიგის თვალსაზრისით, არაერთი სიახლე გველოდება. არც იმის მოლოდინი გვაქვს, რომ „ახალი მსოფლიო“ ამ წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდება. ეს ბევრად ხანგრძლივი და მრავალ სხვა ფაქტორზე დამოკიდებული საქმეა. ახალი მსოფლიოს შენობის რამდენიმე მზიდი კედელი კი ბაიდენის პრეზიდენტობისას დასრულდება.

გლობალურად ხისტი იდეოლოგიური ხაზების (და, მაშასადამე, „დიდი სტრატეგიების“) დრო წარსულს ბარდება. სტრატეგიის მოყვარულთა ყურადსაღებად კი დავძენთ, რომ, რა თქმა უნდა, სიტყვა „სტრატეგია“ ლექსიკიდან არ გაქრება. „დიდ სტრატეგიას“ „აღმოცენებადი სტრატეგია“ ჩაანაცვლებს, რაც მეტი მობილურობის, მოქნილობის, მისადაგებისა და პროცესში იმპროვიზაციის საშუალებას იძლევა. ამ რადიკალური ტრანსფორმაციით მივდივართ სამყაროსკენ, სადაც საკუთარი ინტერესების დაუფარავად პოზიციონირება მიღებული ეტიკეტი იქნება. მით უფრო აქტუალურია ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურად თვითკმარ საწყისებზე რაც შეიძლება სწრაფად გადაწყობა. ეს ერონული პოტენციალისა და პარტნიორების რესურსის მაქსიმალური რეალიზაციითაა შესაძლებელი.

აშშ და სამყარო - ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გლობალურ ასპარეზზე დგება დრო, როდესაც ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეს შედარებით ნაკლებად მოუწევს მოვლენების მიმართ დამოკიდებულების მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრა; გაცილებით მეტად მოუწევს მათ მიმართ სხვათა დამოკიდებულების გათვალისწინება. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონკურენციის ფაზა მხოლოდ ახლა იკრებს ძალას. ამ ვითარებაში, აშშ-თვის მნიშვნელოვანი ხდება მისი ნებისმიერი პარტნიორი ქვეყნის - ძალისა და მასშტაბის მიუხედავად - სიტყვაც და რეალური ქმედებაც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებს, სადაც ბოლო პერიოდში ქართულ-დასავლური ინტერესებისათვის გეოპოლიტიკური ამინდი მკვეთრად გაუარესდა. ეს გარემოება, ასევე, პირდაპირ კავშირშია ჩვენს დღევანდელ მდგრადობასთან პოლიტიკურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ჩვენ და აშშ - ზემოთ ქართული დიპლომატია ვახსენეთ და ეს ნათქვამი ქართულ სახელმწიფოებრივ და ინსტიტუციურ, მთლიან სხეულს ეხება. ერთი წუთით დავანებოთ თავი საერთაშორისო ურთიერთობათა ახლებურ სტრუქტურას და ამ სტრუქტურაში ახალი კატეგორიის სამართალსუბიექტებს. აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მართვის უფრო კორპორატიულ რელსებზე გადაწყობა: ეს წაადგება გადაწყვეტილებათა მიღებას; ეს წაადგება მათი აღსრულების საქმეში მეტ რაციონალურობას; ეს, მთლიანობაში, წაგვადგება საკუთარი და გარშემო არსებული პრობლემების აღსაქმელად. არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს, ასევე, მოითხოვს რეგიონალურ და ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის პრიზმაში ქართული სახელმწიფოს ფუნქციონალური სარგებლიანობის სწორად განსაზღვრას. ამ გზაზეა არაერთი მიღწევა და წარმატებაა, რომელზეც ახლის დაშენებაა შესაძლებელი. ამავე თვალსაზრისით, თუნდაც, მხოლოდ აშშ - საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ქმნის გრძელვადიან პერსპექტივას. ერთია ოღონდ: პერსპექტივას დროულად და სრულად გამოყენება სჭირდება. ჩვენი მხრიდან საკეთებელს რაც შეეხება, ეს უნდა იყოს თბილისის მიერ ინიცირებული, გაბედული ინიციატივები (და ასეთები „მოპოვებადია“!) და არა მოლოდინი იმისა, რომ სხვას გაახსენდები და მოგიკითხავს. პოსტდამოუკიდებლობის პერიოდის ინერცია დასაშვებზე მეტად გახანგრძლივდა და იგი უნდა დასრულდეს.

ამ მეტად რთულ პროცესში მხოლოდ წარმატება გვსურს ვუსურვოთ როგორც მთავარ მოკავშირეს, ისე ჩვენს ქვეყანას. რამდენად დიდი და კომპლექსურია არსებული გამოწვევები, იმდენად აუცილებელი და პერსპექტიულია ჩვენი განსაკუთრებული თანამშრომლობა და სტრატეგიული პარტნიოროობა“ – ამბობს ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე ვიქტორ ყიფიანი.

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ხორნაბუჯელთა ტრაგიკული ისტორია

დედოფლისწყაროში ერთი ციხე-კოშკი დგას. ახლა თავჩამორღვეული, ნანგრევი, ხავსმოდებული ლოდებით. ვიწრო ბილიკები და გვირაბები მასზე ბევრ ისტორიას ყვებიან-დაწერილსაც და დაუწერელსაც.

ძველად სახელოვან სიმაგრეს ნაბრძოლი ახლაც ატყვია, ალყაში ჩამდგარ, მოიერიშე მტერს ხმლები რომ ზედ ულესია ციხის ძირითა ლოდებზე. ხორნაბუჯის ციხე, როგორც წარსული დიდების ნაშთი და მემატიანე ამაყად გადმოჰყურებს არემარეს.

დედამიწის დღესთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ ამ დიდებულ ადგილს. ციხის მიმდებარე ტერიტორია უნდა დაგვესუფთავებინა. იქ მისულებს სისუფთავე და ლამაზი გარემო შემოგვეგება. არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენები ვერსად ვნახეთ-ველურ ბუნებაში ნადიმის მოყვარულთ დარჩენოდათ ნამუსრევი, მაგრამ ... არსად იყო ის ანტისანიტარია, რომელსაც ველოდით. ამიტომ „მსუბუქ“ დასუფთავების აქციასთან ერთად კიდევ ერთხელ გადავიმეორეთ ჩვენი ისტორია.

მორღვეული ქონგურებისკენ ავუყევით გზას. ჟამთა სვლას მეტად დაუტყვია თავისი მსახვრალი ხელი - ხავსი მოსდებიათ და გალეულან ლოდები. ამიტომ ციხის სათავეში მოხვედრის განზრახვაზე ხელი ავიღეთ. მარტო ქვევითა, შედარებით უსაფრთხო კლდის ნანგრევებზე ავდივართ. აქედან ხელისგულივით მოსჩანს ულამაზესი ალაზნის ველი. მდინარე ვერცხლისფერ ზოლად ირეკლება მზის სარკეში, ზანტად მიიზლაზნება და ჩვენს ისტორიულ სამშობლოსთან საზღვარს გვიდებს...

მანამდე კი,ვიდრე ისტორიული ჰერეთი საქართველოს ნაწილი იყო, ამ ციხესიმაგრესთან სამშობლოს დასაცავად ერთნაირად იბრძოდნენ ჰერებიც და კახელებიც, მთიდან ჩამოსული ფშავლებიც და ხევსურებიც...

ამბობენ, შეღამებისას,ხორნაბუჯის ციხესთან, ზესთა კოშკიდან ისმის ტირილი მოხუცი კაცისა. ქარიან დღეს ეს ხმა კლდის ნაპრალებში დარბის, მაშინ ნათლად გამოიკვეთება ხოლმე სიტყვები: ,,სადა ხარ შალვა, საღირ, დავით, გიორგი“. ეს მოხუცი ბერი ეძახის შვილს და შვილიშვილებს...

***

შორეულ წარსულში ჰერეთის შუაგულში, ცივ-გომბორის ქედის დასასრულს, იქ სადაც ივრის ზეგანი ფრიალო კბოდეთი გადადის ალაზნისპირეთში, აუგიათ მიუვალი ციხესიმაგრე ხორნაბუჯი. ეს სახელი მრავალნაირად აიხსნება. “მზის საყრდენს” ნიშნავს ძველ ირანულად ხორნაბუჯი. ზოგი ფიქრობს, რომ ამ სახელში შემონახულია უძველესი ქართული ტომის ხორე-ბის მთავარი საცხოვრისი, სხვაგვარი განმარტებაც არის: “ხორნაბუჯი - ხორების ყურეაო“ ანდა ქორა-ხოშას“ უკავშირებენ, ტომის მამასახლისის ადგილსამყოფელს გულისხმობენ. ოდესღაც არსებობდა სახელგანთქმული არისტოკრატიული საგვარეულო ხორხორუნები, მეტსახელად მალხაზ-ხორხორუნები. ასეთი ვარაუდიც გამოითქვა, ხორხორუნები და მათი “მალხაზები” (“მალხაზი” მამასახლისთანაა გაიგივებული) უხსოვარი დროიდან სწორედ ხორნაბუჯში ბინადრობდნენ. ზოგი თვლის, რომ სახელწოდებაში აისახა “ხორანბუდი”, ე.ი. ქვეყნის დაბა ან “მზის ბურჯი”, ცხადი მხოლოდ ერთია: ხორნაბუჯი ყოველთვის იყო ქართველთა საიმედო ციხე-სიმაგრე და მშვენიერი, ლაღი, ამპარტავანი ქალაქი. მისი დაარსება მიეწერება მეფე ბაკურს, IV ს-ში მოღვაწე მეფეს (მეფე ვარაზ-ბაქარსაც ასახელებენ). V ს-ში მეფე ვახტანგ გორგასლანმა ხორნაბუჯში საეპისკოპოსო კათედრა დაარსა. VI ს-ში ციხე-ქალაქს ირანელები დაეპატრონენ, დიდხანს იდგა ირანული გარნიზონი ამ ქალაქში. გარნიზონის უფროსი მთელ მხარეს აკონტროლებდა, ცნობილია ხორნაბუჯის ირანელი მმართველი ვინმე ვეჟან ბუზბირი, ირანის მეფის ნაცვლის ბარამ ჩუბინის მოხელე. მოვიდნენ სამხრეთიდან პირველი ბაგრატიონები, მათ შორის ასამ და ვარაზვარდიმ აუჯანყეს ქართველობა ირანელებს, დაეუფლნენ ხორნაბუჯს, ზესთა (ე.ი. ყველაზე მაღალ) კოშკზე ეროვნული დროშა ააფრიალეს, მაშინ ბაგრატიონები ჯერ სამეფო დინასტიად არ იყო გადაქცეული. იმძლავრეს ხორნაბუჯელმა ბაგრატიონებმა, შორს, დასავლეთით გასწიეს საზღვრები. მათი განაყარნი არიან ჰერეთის ბაგრატიონები.

ქ. ხორნაბუჯი დიდხანს გადადიოდა ხელიდან ხელში, მის შეუვალ კედლებს ერკინებოდნენ: არაბები, თურქ-სელჯუკები, სპარსელები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით XII ს-მდე (ე.ი. თვით ისტორიკოსის ცხოვრების და მოღვაწეობის პერიოდამდე) ხორნაბუჯის მმართველები კვლავ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. XII ს-დან ჰერეთის ბაგრატიონები რამდენიმე გვარად გაიყვნენ, მათგან წარმოიშვა გრიგოლისძეთა და მახატლისძეთა საგვარეულოები. მახატლისძეები დაეუფლნენ ხორნაბუჯის საერისთაოს, რომელიც მოიცავდა თანამედროვე სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მიდამოებს. ***მეფე თამარის ეპოქაში გამოირჩევა სახელგანთქმული ერისთავთერისთავი საღირ მახატლისძე, სწორედ მან მიაყენა უდიდესი დარტყმა თამარის პირველ მეუღლეს გიორგი რუსს, რომელიც 1191 წ. განძის ლაშქრით შემოიჭრა კამბეჩოვანში, ანუ გვიანდელ ქიზიყში (ხორნაბუჯის საერისთაო მთლიანად მოიცავდა კამბეჩოვანის ქვეყანას ანუ გვიანდელ ქიზიყს). მახატლისძეებს საქართველოს ისტორია იცნობს ხორნაბუჯელთა სახელით, იმდენად ძლიერი იყო ხორნაბუჯელთა ავტორიტეტი, რომ ძველი გადმოცემებით “შიშითა ხორნაბუჯელებისა, ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა ბარდალს, განძას და შირვანს“.*** მონღოლთა ბატონობის შემდეგ საერისთაო უაღრესად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთმანეთს დაუპირისპირდა მონღოლთა ორი იმპერია: ოქროს ურდო (მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიას, რუსეთს, ვოლგისპირეთს, ციმბირს, ყაზახეთს, ბულგარეთს, სერბეთს, უნგრეთს) და ე.წ. საილხანო ანუ სამხრეთ-მონღოლური სახელმწიფო (მოიცავდა ავღანეთს, ირანს, ერაყს, მცირე აზიას, სირიას). ჩრდილოელი და სამხრეთელი მონღოლები ერთმანეთს ებრძოდნენ შირვანსა და აზერბაიჯანში, უშუალოდ ხორნაბუჯის საერისთაოს სიახლოვეს, ეს კი აიძულებდა ქართველობას თავის სურვილის წინააღმდეგ აქტიურად ჩაბმულიყო მონღოლთა პოლიტიკურ ვნებებში. XIII ს-ის შუალედისთვის ხორნაბუჯელთა არისტოკრატიული გვარი კვლავ საკმაოდ ძლიერი იყო. საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოირჩეოდა ხორნაბუჯის პატრონი, შესანიშნავი დიპლომატი და ბრწყინვალე მხედარი ბერი ხორნაბუჯელი (ბერი საკუთარი სახელია). ბერი ულუ-დავითის ეპოქაში გადიოდა სამეფო კარის უმაღლეს წრეებში. იგი დაახლოებული იყო, როგორც მეფე ულუ-დავითთან, ასევე დედოფალ ჯიგდა-ხათუნთან. ულუ-დავითი ცდილობდა მონღოლთა გულის მოგებას, ამიტომაც მისი ორი ცოლი ჯიგდა-ხათუნი და ესუქნი მონღოლთა ნოინების ასულები იყვნენ. სანამ მონღოლთა ორი საყაენო ერთმანეთს დაეჯახებოდა, საქართველოზე კონტროლს ახორციელებდა ოქროს ურდო. ოქროს ურდოს ყაენმა თავისთან გამოიძახა დავით-ულუ. მეფემ საგანგებო რწმუნებანი მისცა დედოფალ ჯიგდა-ხათუნს და ვინმე მესტუმრე ჯიქურს. მესტუმრეობა ძალზე მცირე მოხელეობა იყო. დიდებულებმა იწყინეს ჯიქურის მართვა-გამგეობა, მაგრამ ჯიქურს ზურგს უმაგრებდა დედოფალი ჯიგდა-ხათუნი, რომლის უკან იდგნენ გავლენიანი მონღოლი ნოინები. ულუ-დავითმა გაითვალისწინა ქართველი დიდებულების პატივმოყვარეობა და ყაენთან წასვლის წინ თითოეული თემი ანუ მხარე დამატებით ჩააბარა გამორჩეულ ფეოდალებს. კახეთის მმართველად დაინიშნა თორღვა პანკელი...



მეფე ულუ-დავითმა დიდხანს დაჰყო მონღოლებში, სახელმწიფოს განაგებდნენ დედოფალი ჯიგდა-ხათუნი და მისი გამორჩეული პირი მესტუმრე ჯიქური. ჯიგდა-ხათუნი აქტიური ქალი გამოდგა, ენერგიულად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. ერთადერთი პიროვნება, რომელიც არ ემორჩილებოდა, იყო კახეთის მმართველი თორღვა პანკელი. რა იყო კონფლიქტის მიზეზი, ზუსტად არ არის ცნობილი. არსებობს ლეგენდა, რომ ჯიგდა-ხათუნს შეუყვარდა თორღვა პანკელი. მთიელმა ჭაბუკმა ფეოდალმა არ იკადრა მეფის სარეცლის შებღალვა, რამაც ძალზე გაანაწყენა ვნებააშლილი დედოფალი. თორღვა პანკელი ჩაიკეტა პანკისის ხეობაში, საგვარეულო ციხესიმაგრეში, რომელსაც დღეს თორღვას ციხე ეწოდება. მესტუმრე ჯიქურმა ვერაგული გეგმა მოიფიქრა თორღვას პანკისის ხეობიდან გამოსატყუებლად. მან მოიხმო ბერი ხორნაბუჯელი და თორღვა პანკელთან შუამავლობა დაავალა. ბერი დაახლოებული იყო პანკისის ერისთავთან. აქ მხოლოდ საქმე პირად მეგობრობაში არ არის. საქმე ის არის, რომ პანკისის საერისთაოს ცხვარ-ძროხა იყენებდა ხორნაბუჯის საერისთაოს საძოვრებს. ბერ ხორნაბუჯელს ეეჭვებოდა თორღვა პანკელის ღალატი, ამიტომაც ამ ეტაპზე იგი საქმეში არ ჩაერია.

ძალზე ავი იყო დედოფალი ჯიგდა-ხათუნი, ცბიერი იყო მესტუმრე ჯიქურიც. გადაწყვიტეს თორღვა პანკელის დაღუპვა. ამ გეგმის შესრულება გადაიდო. გავიდა ხანი და ულუ-დავითი დაჯილდოებული დაბრუნდა ჩრდილოეთიდან. ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთით, ე.წ. კაბადას ბოლოს, თეთრ წყალზე მიეგებნენ მეფეს ქართველი დიდებულები.

მათ შორის არ იყო თორღვა პანკელი, ვერ მოვიდა შიშის გამო. ჩამოვიდა მეფე თბილისში. სამი მზგებსი (შვიდეული, ე.ი. კვირა) ზეიმობდა თბილისი მეფის წარმატებას, დაკნინებული იყო მაშინ ქართველთა ცნობიერება, გატეხილი იყო ამაყი სული. თამარის ეპოქას ყავლი გასვლოდა, როდესაც ქართველი მეფეები მხოლოდ ღმერთს სცნობდნენ თავისზე მაღლა მდგომად, უფრო მეტიც მეფე-თამარი ღმერთსაც გაუტოლეს და სამების (მამა-ღმერთი, სულიწმინდა, ძე-ღმერთი) მეოთხე ჰიპოსტაზად ანუ ნაწილად გამოაცხადეს. ახლა კი ულუ-დავითის ეპოქა იდგა. დასავლეთ საქართველო გათიშული იყო, იქ დავით-ნარინი დამოუკიდებლად მბრძანებლობდა. ასეთ შემთხვევაში მონღოლი ყაენის მოწყალე ღიმილიც კი დიდ გამარჯვებად აღიქმებოდა...

არც ამ ზეიმზე გამოჩნდა თორღვა პანკელი, რამდენიმე გზის გამოიძახა მეფემ ქვეშევრდომი, მაგრამ ამაოდ. ვერაფრით ვერ დასძლია შიში თორღვა პანკელმა. ძალზე დიდი იყო დედოფალ ჯიგდა-ხათუნის გავლენა მეფეზე. ჯიგდა-ხათუნი არა მარტო ულამაზესი ქალი იყო, არამედ პოლიტიკურ თუ პირადულ ინტრიგებშიც ფრიად განსწავლული.

არადა არ დაემორჩილა თორღვა პანკელი მეფის ბრძანებას. მესტუმრე ჯიქურმა კვლავ თავისი ვერაგული გეგმა გაიხსენა. ისევ ბერი ხორნაბუჯელს სთხოვა შუამავლობა, ოღონდ ახლა თვით მეფის ბრძანებით. წავიდა ბერი ხორნაბუჯელი თავის ძველ მეგობართან. იქეიფეს ძმადნაფიცებმა ალაზნისპირა ჭალებში. თორღვა პანკელმა გარანტია მოითხოვა, ჩავიდა მეფესთან ბერი ხორნაბუჯელი. ულუ-დავითმა თორღვას უვნებლობის პირობა მისცა, თან დაავალა მეფის სახელით პირობა ფიცით განემტკიცებინა, ხოლო “თორღუა რქუა: “წარვალ ალავერდს გიორგის წინაშე და მუნ შემომფიცე, და მუნ მომინდევ“. და წარვიდეს ორნივე. ხოლო თორღუა გამოება ფესუსა სამოსლისა ალავერდის მთავარმოწამისასა. და მივიდა ხორნაბუჯელიცა, შეჰფიცა და გამოხსნა ფესვისაგან. ხოლო თორღუამან რქუა: “რა იგი ჰყო ჩემ ზედა, ამან წმინდამან გიორგი გიყოს შენ, რამეთუ მარტო ვარ, და სიკუდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი, ეგრეთვე უმკვიდრო ჰყოს წმინდამან მთავარმოწამემან სახლი შენი“. და წარმოიყვანა ხორნაბუჯელმან, ფიცთა მტკიცეთა მიერ შეკრულმან, ტაბახმელას, და შეურაცხ-ჰყო აღთქმა და ფიცი იგი, და შეიპყრა ჯიქურმან, განზრახვითა დედოფლისათა, თვინიერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდე-კართა, და გარდამოაგდეს“.

ᲛᲝᲮᲓᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, ᲓᲐᲘᲠᲚᲕᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ, ᲒᲐᲢᲧᲓᲐ ᲤᲘᲪᲘ, ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲘᲧᲝ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ.

/დასასრული გვ.6/

ხორნაბუჯელთა ტრაგიკული ისტორია

/მეხუთე გვერდიდან/

"...ბერი ხორნაბუჯელს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, სიკეთე-აღმატებული შალვა, საღირისძეთა უკანასკნელი იმედი. თითქოს გრძნობდა ოჯახი მომავალ უბედურებას. შალვას რამდენიმე ძე და ასული ჰყავდა. თორღვა პანკელის სიკვდილის შემდეგ, შალვას ორი ბავშვი მყისვე მოკვდა: ერთი ფრიალო კლდიდან გადმოვარდა, მეორე შხამიანმა ჯოჯომ დაგესლა. თითქოს ბოლომდე უნდა შეესვა შხამით სავსე ფიალა უკვე სიბერეში შესულ ბერს. ორი შვილიშვილის დაღუპვის შემდეგ მალე მთელი საერისთაო საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ოქროს ურდოს მბრძანებელი ბერქა-ყაენი სამას ათასიანი ლაშქრით დაიძრა სამხრეთის მონღოლთა ურდოს - საილხანოს წინააღმდეგ. ჩრდილოეთელებმა გამოიარეს დარუბანდი და აპირებდნენ ირანში შეჭრას.

1263 წელი იყო, თვე აპრილი.

რაღაც საოცრად ადიდებული მოდიოდა მდინარე მტკვარი. ვერაფრით ვერ გადალახეს ბერქას მეომრებმა მდინარე. ჩვენდა საუბედუროდ ვიღაცამ ურჩია ყაენს, გაჰყოლოდა მტკვრის მარცხენა ნაპირს, თბილისში ასულიყო და მეტეხის ხიდით გადასულიყო სამხრეთში. დაიძრა ბერქა და ერთი მზგებსის შემდეგ ხორნაბუჯის საერისთაოში ჩამოაღწია მონგოლ-თათართა უზარმაზარმა ბრბოებმა. მტერმა "მოჭამა" ივრისპირეთი და ალაზნისპირეთი, გაანადგურა აყვავებული სოფლები, გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, შემუსრა ციხე-სიმაგრეები. ქუდზე კაცი გამოიძახა შალვა ბერის-ძე საღირისძემ. ხორნაბუჯის საერისთაოს ლაშქარი თანამედროვე მაღაროს სამხრეთით განლაგდა, ყათრების ქედის წინამდებარე ველზე. ხუთი-შვიდი ათასი კაცის გამოყვანა შეეძლო მხოლოდ შალვა ერისთავს.

აქეთ ხუთი-შვიდი ათასი ქართველი, იქით სამასი ათასი თათარი. არ გაჰყოლია ლაშქარს ბერი ხორნაბუჯელი, ეშინოდა ალავერდის შურისძიებას, მის გამო სხვებიც არ დაელუპა, ამაო გამოდგა მისი ცდა. ხატის სასჯელი ტანჯვას ნიშნავს, სიკვდილი კი ტანჯვისგან გათავისუფლებას. სანამ ბოლომდე არ შესვამდა შხამის სამსალას ერისთავთ-ერისთავი, მის სულს მიქელ-გაბრიელი არ მიიღებდა. უთანასწორო ფიცხელი ბრძოლა გაიმართა ქიზიყის ბოლოს...

მიწა იწვოდა მხედართა ფეხთა ქვეშ, დაემსხვრათ ქართველებს მახვილები... შემოეფლითათ ჯაჭვის პერანგები... სისხლისფრად შეიღება პატარა მდინარე ოლე... თათართა გვამებისაგან მთელი ბორცვები აღიმართა ივრისპირეთში.

სამი ვაჟით იბრძოდა შალვა საღირისძე, სამივე დაეცა გმირული სიკვდილით... გაშმაგდა მამა... გაარღვია მონღოლ-თათართა რაზმები, მიიჭრა ყაენთან, ხმლით გადაუსერა მხარი, აჩეხეს შალვა მონღოლებმა...

სამი დღის შემდეგ ბერქა-ყაენიც გარდაიცვალა გარეჯის მთებზე.

ისტორიული ტრადიციით ღმერთმა დასაჯა. ლეგენდა კი ამბობს, შალვა ხორნაბუჯელის მახვილისაგან მიყენებულმა ჭრილობამ მოუსწრაფაო სიცოცხლე!

გარეჯის მთებიდან უკან გაბრუნდა მონღოლთა ლაშქარი, თითქოს მართლაც ალავერდის ხატის შურისძიებამ მოიყვანა მომხვდური აქ. მონღოლებმა ხორნაბუჯის საერისთაო შემუსრეს და უკან წავიდნენ. სამი დღე ელოდა ბერი ხორნაბუჯელი საყვარელ ვაჟს და შვილიშვილებს ბრძოლის ველიდან. სამი დღის შემდეგ მიხვდა, არავინ მოვიდოდა ბრძოლის ველიდან, თუნდაც მაცნე. ძალზე ბევრი იყო მომხვდური, ჩანს ერთი კაციც ვერ გამოიმეტა შალვამ მალემსრბოლის როლისათვის. აღიჭურვა ბერი ხორნაბუჯელი, რამდენიმე მოხუცი მეომარი და მღვდელი გამოიყოლა, შვიდი დღე ეძებდა ნაომარ ველზე საკუთარ ნაშიერებს, ვერაფრით ვერ გამოარჩია, ვერც შალვა და ვერც მისი სამი ვაჟი დაღუპული მეომრებიდან. უხმოდ დაბრუნდა დაცარიელებულ ქალაქში, სულ მაღლა, ზესთა კოშკზე ავიდა, ოთხი ანთებული სანთელი ხელში დაიჭირა და ზეცას შეღაღადა: "ალავერდის წმინდა გიორგის ხატო, ხომ ბოლომდე მაჩვენე უბედურება ჩემი, ხომ იცი უბრალო ვარ, მეფის ნდობამ წაბილწა სული ჩემი, ახლა მაკმარე სასჯელი დიდი, მიმიღე!" მაღალი ფრიალო კბოდედან გადაეშვა ბერი ხორნაბუჯელი, ქვასავით დაენარცხა მიწას...

ქიზიყში ეხლაც გიჩვენებენ ზესთა კოშკის წინ, ოდნავ შეწითლებულ ქვის ბასრ ნატეხს, ამ ქვაზე წამოეგოო ერისთავთ-ერისთავი, სწორედ მისი სისხლით არის შეწითლებული ეს ბასრკბილა, კაჟი ქვა, შეღამებისას კი ზესთა კოშკიდან ისმის ტირილი მოხუცი კაცისა. ქარიან დღეს ეს ხმა კლდის ნაპრალებში დარბის, მაშინ ნათლად გამოიკვეთება სიტყვები: ,,სადა ხარ შალვა, საღირ, დავით, გიორგი". ეს მოხუცი ბერი ეძახის შვილს და შვილიშვილებს.

ასე დასრულდა ბაგრატიონთა ჩამომავლების, შეუპოვარი მახატლისძეების, ხორნაბუჯელთა სახელოვანი გვარის შვიდასწლიანი ისტორია.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

,,ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ"

23 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეული გაიხსნა-სლოგანით „ბიბლიოთეკა ყველგან, სადაც ხარ".

კვირეულის გახსნა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა, რომელმაც საბიბლიოთეკო კვირეულის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქალბატონმა მანანამ ასევე აღნიშნა ის სირთულეები, რომელიც ბიბლიოთეკას გასულ წელს პანდემიამ შეუქმნა. შარშან კვირეული არ ჩატარებულა, შესაბამისად, ბიბლიოთეკები დაკარგული დროის ანაზღაურებას წელს მაქსიმალურად შეეცდებიან. გარდა ამისა, ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ის იუბილარი და ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარებიც გაიხსენა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო საქმიანობის განვითარებაში. ქალბატონმა მანანამ, დამსწრე საზოგადოებას ქართული ენის დღეც მიულოცა, რომელსაც მუხრან მაჭავარიანის ლექსი „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა" მოჰყვა მარიამ ფიროსმანაშვილის შესრულებით. ნიკო ფიროსმანის ოთახის პრეზენტაციის შემდეგ ლექსები მხატვრულად წაიკითხეს: ლალა ჩოფიკაშვილმა (შოთა ნიშნიანიძე - გოგებაშვილის - დედა ენა), მარიამ ალუღიშვილმა (ია ნანეიშვილის - აი ია), დემეტრე ფიროსმანაშვილმა (შოთა ნიშნიანიძის - დედა ენა).

თბილისი 2021 წელს გამოცხადდა წიგნის მსოფლიო დედაქალაქად. შესაბამისად, კვირეულის სიმბოლური გახსნის პარალელურად აღინიშნა წიგნის საერთაშორისო დღე. გარდა ამისა, წიგნის ჩუქების დღესთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინათინ სულაშვილმა რამდენიმე აქტიურ მკითხველს საჩუქრად წიგნები გადასცა. ასეთივე საჩუქარი მიიღო ბიბლიოთეკამ მკითხველებისგანაც. „წიგნი კაცობრიობის გენიის ნაანდერძევი თაობიდან თაობაში გარდამავალი უძვირფასესი მემკვიდრეობაა. წიგნი ძვირფასი საჩუქარია, ავტორისაგან ადამიანთა მოდგმისთვის ნაანდერძევი. ბიბლიოთეკის პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებულიწიგნის პროპაგანდის ზეპირი ფორმები. ამ ფორმას მკითხველზე განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ვფიქრობ, რაც უფრო მეტად წაიკითხავს ადამიანი კარგ წიგნს, უფრო მეტად ნაკითხი, განათლებული და ჭკვიანი იქნება ის. ადამიანი, რომელსაც ხელში კარგი წიგნი უჭირავს, არასდროს რჩება მარტო." - აღნიშნა თინათინ სულაშვილმა. მან რამდენიმე აქტიური მკითხველიც დაასახელა: ნატალია ალუღიშვილი-ოზაშვილი, ანა გოზალიშვილი, თემურ ჯიბღაშვილი.

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა ცენტრალური ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი თანამშრომლები და საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი მადლობის სიგელით დააჯილდოვა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. კვირეული 30 აპრილს დასრულდება.

ხათუნა ბენაშვილი

გამოსათხოვარი

იზა ბაიდოშვილი

დედოფლისწყაროს კიდევ ერთი კარგი ქალბატონი დააკლდა. ქალი, რომელიც თავისი გარეგნული თუ შინაგანი მშვენიერებით ალამაზებდა ქალაქს. ის იყო ერთგული, ნიჭიერი ქალი, თავისი საქმის მცოდნე და პროფესიონალი. წლების განმავლობაში მუშაობდა საფინანსო სამსახურში, ასევე აქტიურად მოღვაწეობდა რაიონის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიროსმანი - ქალთა სათემო ორგანიზაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

მე, როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, დიდხნიანი და ოჯახური ურთიერთობა მაკავშირებდა მასთან. წლების მანძილზე ერთად მოვდიოდით, ჩვენს შვილებს ერთად ვზრდიდით, ვემსახურებოდით ერთ საქმეს, რომელიც დედოფლისწყაროელი ქალების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ამიტომ ჩემთვის მეხის გავარდნას ჰგავდა მისი უეცარი გარდაცვალების ამბავი. მერიაში მის მოსაკითხად მისულს მისი გარდაცვალების ცნობა დამხვდა.

ვუსამძიმრებ მის ქალიშვილს - მერის, მეუღლეს - ვახტანგს მისი გარდაცვალებით გამოწვეულ დანაკლისს. მართლაც რომ წამია წუთისოფელი.შენმა უეცარმა გარდაცვალებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამაში. გემშვიდობები, ჩემო მეგობარო!

შეხვედრამდე, იმქვეყნიურ სასუფეველში!

ნელი გოგეჭიშვილი ოჯახით

***

რაღაც იწყება, და მთავრდება... ხშირად უფრო ადრე, ვიდრე ველით... მთავრდება ისე, რომ ვერც ვიაზრებთ... უმანკო სული მოდის და მიდის, მიდის სადღაც შორს, უსასრულობაში... იქ, სადაც არის ყველაფერი, და თან არაფერი. ასე გაქრი შენც, გაქრი როგორც პირველი თოვლი, ჩუმად და... უკანმოუხედავად...შავმა უსასრულობამ ჩაგყლაპა შენც... წაგართვა ის, რაც ყველაზე მეტად გიხაროდა, ის, რაც ყველას უხარია - სიცოცხლე. მ შ ვ ი დ ო ბ ი თ...ეს ყველაზე ხანგრძლივი გამოთხოვებაა ამქვეყნად, ჩვენო იზა.

ელენე ბაიაშვილი, ლელა ბექაური, ბელა ქადაგიძე, ლალი მაძღარაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იზა ბაიდოშვილი – ბაცაცაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალიკა და გია ობოლაშვილები, გელა გველუკაშვილი, გურამ ჯანიაშვილი და დიმა ტოკლიკიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის

ბადრი გოგლიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი გია მაჭარაშვილი ოჯახით, ძმები: ნოდარი, ვახტანგი, ძმისშვილები: თამილა, ლევანი, მარიკა, თამრიკო ჭიჭინაძეები; დისშვილები ნელი, ლია. ბიძაშვილები: ლამარა, ნანა ჭიჭინაძეები, ბიძაშვილისშვილები: გია, გოჩა ნიკვაშვილები, მარიკა პოპიაშვილი მამიდაშვილის ცოლები: ლილი ბეგიაშვილი, ლამარა მატიაშვილი, მამიდაშვილისშვილები: ნინო, ნანა, ზურიკო, ლია, ლალი, დათო შეითნიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ,რომ გარდაიცვალა

ლილი ლევანის ასული ჭიჭინაძე.

დაიკრძალა 17 აპრილს თბილისში.

ნაზი მოსაშვილი და ილიკო ბიკაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა, შორენა, გოჩა და ხვიჩა ბოლქვაძეებს, მუხრან ბიკაშვილს მეუღლის, მამის და სიმამრის

ანზორ ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო.

მონატრება

ზაზა პოპიაშვილი



შენ ოცდაშვიდი გაზაფხული იკმარე მხოლოდ!

მეთხუთმეტედ... ფიქრიც კი მზარავს, რომ ასე უნდა ველოდო სიცოცხლის ბოლომდე რამდენი გაზაფხული მოვა უშენოდ, ჩემო ზაზა.

ქრისტე აღსდგა, ზაზა! მეთხუთმეტედ ვხვდებით აღდგომას უშენოდ, შვილო. 15 წლის წინ, 24 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, უფალმა მიიბარა შენი ლამაზი სული.

15 წლის წინ სიყვარულს და სიცოცხლეს აფრქვევდი, ყველა გიყვარდა. შენს ლამაზ ცოლ–შვილს ეფერებოდი. რას წარმოვიდგენდით, რომ ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდებოდა შენი სიცოცხლე. გყავდა ერთგული მეუღლე და ანგელოზი შვილი. ათას გეგმებს აწყობდით სამომავლოდ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარაფერი გაცალა. ამ ქვეყნიდან მაშინ წახვედი, როცა შენს საყვარელ ნათიას და შენს პატარა ლიკას სჭირდებოდი.

სად გეძებო, ჩემო ძვირფასო? ცაში რომელი ვარსკვლავის ციმციმი მივამსგავსო შენი ლამაზი მწვანე თვალების ბრწყინვას? ჰაერის რომელი მხრიდან ჩამოქროლება ეგონოს დედას შენი მოფერება?

მხოლოდ 27 წელი, მარად ახალგაზრდობა-ასეთი იყო შენი ბედისწერა. რატომ? ამას ვერავინ პასუხობს, რადგან ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მიგიჩინა ადგილი.

დედ-მამის მწუხარება უსაზღვროა, არანაირი გასაჭირი არ უტოლდება შვილის დაკარგვას, შვილისა, რომელმაც სიყვარულისა და სიცოცხლის ფასი ასე კარგად იცოდა.

15 წელი დედას აღარ უნახიხარ, შვილო. შენზე დანთებული ყველა სანთელი ცრემლიანია, მოგიკვდეს დედა. შენი სული მფარველ ანგელოზად მოუვლინე შენს ცოლ–შვილს. ზაზა, შენს ლიკას ხომ სიზმარივით ახსოვხარ. ის ხომ მხოლოდ 4წლის იყო. ახლა 19 წლის არის შვილო, მეორე კურსის სტუდენტია გენაცვალოს დედა.

რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უშენობა, ვერ ვეგუები იმ აზრს რომ აღარ მყავხარ. უზომოდ მენატრები ჩემო ზაზა. ყველაფერი ისევ სიზმარი მგონია და მინდა , ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო, დაგიკოცნო ლამაზი თვალები და გითხრა: „ძალიან მომენატრე ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და აღარ მიმატოვო მეთქი.“ ძალიან მენატრები, შვილო და ისეთი ძლიერია ეს მონატრება, რომ თავს ვეღარ ვერევი, გიხმობ , გეძახი, მაგრამ არ მპასუხობ. სიცოცხლე სასჯელად მიქციე შვილო. შენი ძმა ფრთამოტეხილი ჩიტივით დადის შვილო. ძალიან უყვარხარ და ენატრები. შენს სიყვარულს შენს შვილში იკლავს.

შენს მშობლებს, შენს ახლობლებს, მეგობრებს მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ შენთან დაკავშირებული ყოველი ლამაზი წუთი, მოვიდეთ საფლავზე, მოვეფეროთ შენს ლამაზ , სევდიან თვალებს, ავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

„უფალს უყვარდი და თავისთან წაგიყვანა,
შენთან რა ხელი აქვს სიკვდილს.
ზაზა!-დავიწყება არ გიწერია,
ეს თვითონ უფალმაც იცის.“

შენი ოჯახი

მონატრება

თენგიზ იაკობიშვილი



უკვე ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც მარადისობაში გადაინაცვლე. ასე ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრმ რაც დრო გადის, უფრო მტკივნეული ხდება შენი მონატრება.

ავადმყოფობამ მაშინ დაგრია ხელი, როცა ყველანაირად წელში გაიმართე, შენი შრომა დაგიფასდა და გალაღებულს მარტო სიცოცხლით ტკბობა გევალებოდა. გულდასაწყვეტია, რომ ვერ გაიხარე შენს შვილებთან და შვილიშვილებთან, რომლებიც უზომოდ გიყვარდა. მხარი ჩამოუგდე შენს ერთგულ და ოჯახისთვის მზრუნველ მეუღლეს.

მიუხედავად შენი შვილების გიორგის და თამუნას და ახლობლების თავდაუზოგავი მცდელობისა, ვერ დაგიხსენით სიკვდილისგან, მაგრამ შენ სიკვდილმა მაინც ვერ დაგამარცხა, რადგან ამ სამყაროში დატოვე კეთილი, გულმოწყალე კაცის სახელი და შენი შექმნილი მტკიცე ოჯახი.

მარტის 17 რიცხვი ჩვენთვის მოუშუშებელი ტკივილი იქნება, ძმაო. ორმოცი დღე გავიდა , რაც სასუფევლის კარი შეაღე. ალბათ, უფლის წინაშე უკვე წარსდგები და ღირსეულ ადგილს დაიკავებ საუფლოში, რადგან შენნაირი მადლიანი ადამიანის ადგილი სწორედ იქ არის. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს, ნათელი დაგიმკვიდროს და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. იძინე ტკბილად, ჩემო საფიცარო ძმაო თენგიზ.

შენი და მარგო იაკობიშვილი

თამაზ უზუნაშვილი

ჩვენო გაუსაძლისო ტკივილო, ძმაო თამაზი. ტკივილი, რომელიც შენი დაკარგვით არის გამოწვეული არ ნელდება. რვა თვე გავიდა რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მოწმენდილ ცაზე მეხის ჩამოვარდნას გავდა შენი სიკვდილი, მაგრამ ჩვენს ოჯახს ხომ პირველა დ მაშინ დაეცა მეხი, როდესაც ჩვენი და - ნელი გარდაიცვალა.

3 აგვისტოს, საღამოს შვილის–თეას ოჯახში იყავი მეუღლესთან ერთად.წამოსვლისას დაემშვიდობე ყველას, შვილიშვილები გულში ჩაიკარი, მშვიდობიანი ღამე უსურვე და თან დაპირდი: დილით ისევ მოვალო. მაგრამ ვაი, რომ დილა აღარ გაგითენდა.

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ტელეფონით მესაუბრე და მითხარი , რომ სამსახურში დაკავებული ვარ, საქმეებს მოვითავებ, ჩამოვალ და დიდ დროს გავატარებ შენთანო. ვეღარც ჩამოხვედი და ვერც ჩამოგიყვანე, ძმაო. სამუდამო სასუფეველი თბილისში დაიმკვიდრე. -ოჯახმა ასე გადაწყვიტა. ჩემო კეთილო და სიკეთის მთესველო ადამიანო, ამის დადასტურება იყო ის, რომ საბოლოო გზაზე უამრავმა ხალხმა გაგაცილა და დაგიტირა.

ძმაო თამაზი, შენ ხომ ჩემთვის ყველაფერი იყავი, შენ და შენი მეუღლე ჩემი შვილის და შვილიშვილის გამზრდელები. მათ საკუთარისგან არ არჩევდით- დღემდე ასეა. ჩემი ეკასთვის სახელად იყავი ბიძა, თორემ მამობას უწევდი. მოდის აღდგომა, რომლის მოსვლა ძალიან გიყვარდა და მიხაროდა იმიტომ რომ ამ დღისთვის აუცილებლად ჩამოხვიდოდი შენს ოჯახთან ერთად.მოვინახულებდით მშობლების საფლავებს. შენ არა მარტო მათ დაუნთებდი სანთლებს, მთელ უზუნაშვილებს მიულოცავდი აღდგომას და შენდობას შეუთვლიდი- ისინი ხომ ბევრნი არიან იქ.

ამ აღდგომას კი მე ჩამოვალ, ძმაო. მოვალ შენს საფლავზე ჩემსა და შენს ოჯახთან ერთად, აგინთებ სანთელს ,დაგინამავ საფლავს ცრემლით, ვეამბორები შენს სურათს, მოგილოცავ აღდგომას და უფალს შევთხოვ, გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი და ლამარა (დოდო) უზუნაშვილი

გახსენება

ვაჟა ბოსტაშვილი

შვიდი გიორგობა, შვიდი აღდგომა და შვიდი შავი წელიწადი შენი გარდაცვალებიდან, რომელსაც უშენოდ ვხვდებით.ძნელია მარტოდ დარჩენილი შენი მეუღლისთვის და შვილებისთვის არსებობა. შენ უკვე სამი შვილიშვილის პაპა ხარ და იმედია გახარებული იქნებოდი მათით.ელენა და ლუკა პირველი კლასის მოსწავლეები არიან, გეგა კი საბავშვო ბაღში დადის, რომელიც ძალიან გგავს შენ. შენი დაკარგვა იმდენად მძაფრია, იმდენად მტკივნეული, თითქოს გულიდან რაღაცა მოგგლიჯეს.სწორედ ასეთი ტკივილი გვარგუნა ღმერთმა, როდესაც წაგვართვა უდროოდ შენი სპეტაკი სული, რომელიც იყავი ყველასთვის საყვარელი და უძვირფასესი მამა და მეუღლე, რომელსაც ახლა უფრო ვათვითცნობიერებთ. მჯერა რომ არამიწიერ ქვეყანაში გრძელდება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და იმისიც გვჯერა, რომ ახლა შენ გვიყურებ და ამაყობ შენი შვილებით და შვილიშვილებით.

მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო კეთილო ადამიანო.

კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გიორგობას.

შენი ოჯახი: მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

კიდევ ერთი წარმატება...

სპორტი

დასრულდა თბილისის ღია პირველობა, სადაც დედოფლისწყაროს უშუს გუნდმა კვლავ საუკეთესო შედეგებით იასპარეზა. ჩემპიონები გახდნენ

*ნიკა წიკლაური
*გიორგი წიკლაური
*საბა ბუთხუზი
*ლოვა ბაიროიანი
*გივი გოჩიტაშვილი
*ლუკა პოპიაშვილი
*ნიკა ჩიტიშვილი

მეორე ადგილები დაიკავეს.

*კახა ჩალახეშაშვილი
*ვაკო მოსაშვილი
*ნიკა ხარაზიშვილი
*ნატალია ლაპიაშვილი

მესამე ადგილი არცერთ ჩვენ სპორტსმენს არ დაუკავებია. გთავაზობთ ინტერვიუს დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მწრთვნელთან გიორგი ცისკარაულთან:

გიორგი, თქვენ 7 პირველი ადგილი მოიპოვეთ თბილისში გამართულ ტურნირზე, როგორ შეაფასებთ აღნიშნულ შედეგს?

- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის, შეჯიბრებაზე საქართველოს დაახლოებით 10-12 გუნდი იღებდა მონაწილეობას, კონკრეტულად უშუ-სანდაში 16 წონით კატეგორიაში გაიმართა შეჯიბრება, 16 წონიდან კი 7 წონაში პირველი ადგილი ჩვენ მოვიპოვეთ. დანარჩენი ცხრა პირველი ადგილი კი დანარჩენმა გუნდებმა გაიყვეს, აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ შედეგი საუკეთესო იყო, გუნდურ ჩათვლაში ჩვენი გუნდი პირველ ადგილზე გავიდა.

თქვენი გუნდიდან რომელი სპორტსმენის მონაწილეობას გამოარჩევდით?

- ძალიან ძნელია რომელიმე კონკრეტულად გამოვარჩიო, რადგან ვინც ჩემპიონი გახდა ყველამ საუკეთესოდ იასპარეზა, მაგრამ განსაკუთრებულად შემიძლია გამოვყო პატარა ნიკა წიკლაურის და გივი გოჩიტაშვილის ბრძოლები, მათ ორ-ორი ბრძოლა დომინაციით აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- სამომავლოდ დიდი ალბათობით გავემგზავრებით ქუთაისში, რადგან შემდეგი კალენდარული შეჯიბრება ქუთაისშია ჩანიშნული. მაქსიმალურად ვეცდებით იქაც ვასახელოთ დედოფლისწყარო.

მუნიციპალიტეტიდან თუ გაქვთ მხარდაჭერა?

- რა თქმა უნდა, შეჯიბრებებზე მონაწილეობის ხარჯებს მუდმივად გვიფინანსებს ჩვენი მერია და ამ მხრივ ვგრძნობთ მათ დიდ მხარდაჭერას, ასევე ჩვენი რაიონის მოსახლეობისგან, ემიგრანტებისგან ვგრძნობთ დიდ მხარდაჭერას და სიყვარულს, რისთვისაც ყველას, მათ დიდ მადლობას ვუხდი.

მინდა გკითხოთ როგორი მდგომარეობა გაქვთ სავარჯიშო ინვენტარის მხრივ?

- რაც შეეხება სავარჯიშო ინვენტარს, რამდენიმე თვი წინ უშუს ფედერაციამ 3000 ლარის ინვენტარი გადმოგვცა საჩუქრად, რამაც ძირითადი დანაკლისები შეავსო, თუმცა, გარკვეული ინვენტარის საჭიროება კიდევ გვაქვს, რომელიც დაახლოებით 2-3 ათასი ლარის დამატებით თანხას მოითხოვს, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად მიიღწევა და შევქმნით ინვენტარით სრულად აღჭურვილ ბაზას.

და ბოლოს, თქვენ ხშირად ერთვებით საქველმოქმედო და გამწვანების, ასევე დასუფთავების აქციებში, ამ მხრივ უნდა ველოდოთ თუ არა თქვენი გუნდისგან კვლავ რაიმე სიახლეებს და აქტიურობას?

- აუცილებლად, 2021 წელს ჩვენი გუნდი 10 წლის ხდება და დაგეგმილი გვაქვს ძალიან ბევრი აქტივობა, წინასწარ არ მინდა საუბარი ამ თემებზე, მაგრამ აუცილებლად გვექნება აქტივობები.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდი მადლობას უხდის ყველა გულშემატკივარს და ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის ცენტრს დახმარებისთვის.

ესაუბრა
ვალერი კოკილაშვილი

„ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ქართველი გულშემატკივარი გაგვეხარებინა“

„იმ კონკრეტულ მომენტში, დარბაზში ასპარეზობისას, ლაშა ბექაური ჩვეულებრივი ადამიანი აღარ არის - ქართულ გენს, ქართულ ბრძოლისუნარიანობასა და ჟინს, რითაც ყველა ვამაყობთ - ჩვენი წარსულით, იმ დღეს, იმ კონკრეტულ მომენტში, როდესაც ლაშა იბრძვის, იქ ვხედავ ამ ყველაფერს. ჩვენთვის ისტორიაც არის და მომავალიც" - ამის შესახებ ჯუდოს ნაკრების მთავარმა მწვთნელმა, ლაშა გუჯეჯიანმა განაცხადა.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 14 ჯუდოკათი იყო წარმოდგენილი და ჯამში 5 მედალი მოიპოვა, მათგან 1 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.

60 კგ-ში ერთადერთი მონაწილე გვყავდა. თემურ ნოზაძისთვის უფროსებს შორის ოფიციალურ ტურნირზე დებიუტი ვერ გამოდგა წარმატებული. მისი პირველივე შეხვედრაში მარცხი, თელავივსა და თბილისში ზედიზედ აღებული მედლების შემდეგ, მოულოდნელი იყო. ვფიქრობთ, აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა, ემოციური ფონი ყოფილიყო, რომელიც დიდ ტურნირებს ყოველთვის ახლავს და ნოზაძეს ფსიქოლოგიური მომზადება არ ეყო. ვფიქრობთ, ამ ბიჭს აქვს იმის პოტენციალი დიდი შედეგებისთვის იბრძოლოს და საერთოდაც მისი სახით 60 კგ-ში კარგ შევსებას ვიღებთ. იმედია, შემდეგისთვის დაძლევს იმ პასუხისმგებლობის ტვირთს, რაც დიდ ტურნირებს ახლავს და მეტად მობილიზებული და დაკვირვებული იქნება.

66 კგ-ში ვაჟა მარგველაშვილი ვერცხლის მედალოსანი გახდა. კონტინენტის პირველობაზე ეს მისი მესამე მედალია. მარგველაშვილი ჩვენს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ჯუდოკაა და მედლის გარეშე ასპარეზობას ფაქტობრივად არ ასრულებს, თუმცა ისიც აღსაღნიშნია, რომ 2018 წლის შემდეგ მარგველაშვილს ოქროს მედალი არ ჰქონია. გადამწყვეტ მომენტებში თითქმის ყოველთვის აკლებდა კონცენტრაცია, უშვებს ერთსა და იმავე შეცდომას. ევროპის ფინალშიც ის ტექნიკური ხარვეზი, რაც ჰქონდა გამოწვეული იყო სიჩქარით და დაუკვირვებლობით. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე მანუელ ლომბარდო ობიექტურადაც მასზე ძლიერია.

73 კგ-ში ლაშა შავდათუაშვილის ასპარეზობაზე ახალს ვერაფერს ვიტყვით და განვმეორდებით, რომ მისგან არაფერი არ გვიკვირს - შეუძლია ნებისმიერს მოუგოს, ან ნებისმიერთან წააგოს. მოგეხსენებათ, 73 კგ-ში ლაშას მეტს ოლიმპიური ლიცენზია არც არავის აქვს, შესაბამისად ორმაგად მეტად უნდა მობილიზდეს ოლიმპიური თამაშებისთვის და ტოკიო 2020-ს ფორმის პიკში შეხვდეს (ლისაბონში ის ცალსახად ცუდ ფორმაში მყოფი ვიხილეთ).

81 კგ-ში მონაწილე არ გვყოლია.

90 კგ წონით კატეგორიაში კარგის მეტი არაფერი გვეთქმის. აშკარაა, რომ ორივე სპორტსმენი - ლაშა ბექაურიც და ბექა ღვინიაშვილიც ძალიან კარგ ფორმაში შეხვდნენ ევროპის პირველობას, რაც მათ შთამბეჭდავ ასპარეზობაზეც აისახა. ორივემ ერთი ამოსუნთქვით გაიარა წინასწარი შეხვედრები და ფინალიც ძალიან დაძაბული და სანახაობრივი აღმოჩნდა. რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ორივე ჯუდოკა - გამარჯვებულიც და დამარცხებულიც დამდგარ შედეგს შეხვდა ღირსეულად. თანაბრად სასიხარულო იქნებოდა ნებისმიერის გამარჯვება და თანაბრად გულდასაწყვეტი ნებისმიერის მარცხი.

აღსანიშნავია, რომ ლაშა ბექაურსა და ბექა ღვინიაშვილს შორის ოლიმპიური კონკურენციის დაწყების შემდეგ ორივე მათგანს მხოლოდ პროგრესი ჰქონდა და მათზე აღნიშნულმა ძალიან დადებითად იმოქმედა - ბექაური საგრძნობლად გაიზარდა, ჩამოყალიბდა, დადინჯდა და უფრო დაკვირვებული გახდა, ხოლო ღვინიაშვილმა ძალიან მოუმატა და დაიბრუნა ის სტილი, რითაც შედეგებს დებდა და რითაც ასე ძალიან მოგვწონდა ჯუდოს გულშემატკივრებს. უნდა ვთქვათ აუცილებლად, რომ მას ძალიან წაადგა ფიზიკური ვარჯიშის ივიკო ერგემლიძესთან დაწყება. ასეთი სპორტსმენების ჯანსაღი კონკურენციით კი ყველაზე მეტად ქვეყანა ხეირობს და ჩვენც მხოლოდ უმაღლეს შედეგებს ველოდებით მათგან.

100 კგ-ში ვარლამ ლიპარტელიანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კვლავ უმაღლესი კლასის ჯუდოს აჩვენებს. მან კონტინენტის პირველობაზე მე-10 მედალი მოიპოვა. ძალიან საწყენია, რომ მედლის სინჯი ვერცხლი აღმოჩნდა და ლიპარტელიანის კარიერაში მორიგი წაგებული ფინალი ჩაიწერა. დაგვთანხმებით, მისნაირი მაღალი დონის ჯუდოკა მხოლოდ პირველობას იმსახურებს. იმედია, მომდევნო ტურნირებზე მოახდენს სრულ კონცენტრაციასა და მობილიზებას შეჯიბრების ყველა ეტაპზე და ნანატრ მსოფლიოსა და ოლიმპიური ოქროს დაისაკუთრებს.

უფროსებს შორის სადებიუტო ოფიციალური შეჯიბრება იყო ევროპის ჩემპიონატი ილია სულამანიძისთვის. ქართველთა ასპარეზობიდან ყველაზე გულდასაწყვეტი სწორედ მისი უმედლოდ დარჩენა იყო, რადგან საკმაოდ კარგი შეხვედრები ჩაატარა და დაიმსახურა სულ მცირე პრიზიორობა მაინც. 100 კგ-შიც ნათელი შანსი გვქონდა ქართული ფინალის, თუმცა სულამანიძეს აშკარად გამოცდილება დააკლდა. ფინალურ ბლოკში კი ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში მისი მარცხის მიზეზად კვლავ ნერვიულობა და დაძაბულად ასპარეზობა მიგვაჩნია (როგორც თბილისი ფინალში). ილია სულამანიძის სახით ქართულ ჯუდოს აშკარად დიდი ტალანტი ჰყავს და იმედია, გამოცდილების დაგროვებასთან და ასაკის მატებასთან ერთად ეს ხარვეზებიც გამოსწორდება და გადამწყვეტ შეხვედრებსაც ისევე ლაღად, თავისუფლად და სტრესის გარეშე ჩაატარებს, როგორც საწყის ეტაპზე ვხედავთ ხოლმე.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, მიუხედავდ იმისა, რომ გაცილებით მეტი შეგვეძლო, 2021 წლის ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის მაინც წარმატებული იყო. მით უმეტეს, ვიცით, რომ ყველა შეჯიბრებრებას, რომელიც ოლიმპიურ თამაშებამდე ტარდება, აქვს კონკრეტული დატვირთვა - გამოიკვეთოს უკეთესი ჯუდოკა იქ, სადაც კონკურენცია გვაქვს, ხოლო სადაც გადაწყვეტილია ოლიმპიური გუნდის მონაწილე, გამოიკვეთოს ხარვეზები და მოხდეს მათზე მუშაობა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლაშა გუჯეჯინმაც აღნიშნა, რომ ევროპის პირველობა იყო რეპეტიცია ოლიმპიური თამაშებისთვის.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

მამუკა ყავრელიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენი საყვარელი ცოლ–შვილით. ასევე თქვენს ოჯახს, გილოცავთ გვანცას დაბადების დღეს. როგორც დღეისთვის ხარ გახარებული თქვენი შვილების წინსვლით ყოველთვის ასე ყოფილიყავით.

ირმა, თამარი, მარინა სეხნიაშვილები;
ბაბო ანტიკა სეხნიაშვილი **თავისი ოჯახით**

ანა მოლაშვილს!

ჩვენო საყვარელო, გილოცავთ დაბადების დღეს. 10 წლის წინ, 24 აპრილს, აღდგომის დღეს მოევლინე ამ ქვეყანას. იყავი ჯანმრთელი. ჭკვიანი, ნიჭიერი, ყველას მიმართ თბილი, ყურადღებიანი, ზრდილობიანი, უფალმა ყველაფერი კარგი დაგაბედოს. ბოლოს გვინდა გაჩუქოთ ჩვენი თავი, ვისაც ამქვეყნად ძალიან უყვარხარ და ეყვარები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

„დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს,
შენი აკვნისთვის ღმერთს ულოცია,
ერთი სიცოცხლე რა არის შენთვის,
და ჩვენიც შენთვის დაგვილოცია“.

ყველგან და ყოველთვის ღმერთი იყოს შენი მფარველი. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა.

ბებო მარინე, **პაპა** გურამი, **დაიკო**-მარი მოლაშვილები.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 26.04	სამშაბათი 27.04	ოთხშაბათი 28.04	ხუთშაბათი 29.04	პარასკევი 30.04	შაბათი 01.05	კვირა 02.05
დღე	24 °	18 °	20 °	22 °	25 °	24 °	23 °
ღამე	12 °	10 °	10 °	12 °	13 °	13 °	11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.